თბილისი, 13.11.2025

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის (დამტკიცებულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 ოქტომბრის #62/2025 დადგენილებით) სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N 7

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **მერაბ ტურავა, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);**
2. **თამარ ზარანდია, ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);**
3. **დავით პატარაია, პროფესორი;**
4. **ნუგზარ სურგულაძე, პროფესორი;**
5. **ირმა გელაშვილი, ასოცირებული პროფესორი;**
6. **ხათუნა ლორია, ასოცირებული პროფესორი;**
7. **ვასილ გონაშვილი, ასოცირებული პროფესორი;**
8. **ალექსანდრე გიორგიძე, სამართლის დოქტორი, კომისიის მდივანი.**

დღის წესრიგი:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კერძო სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ა“) - კონკურსში მონაწილეობდა 4 პრეტენდენტი.

კერძო სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“) - კონკურსში მონაწილეობდა 6 პრეტენდენტი.

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ა“) - კონკურსში მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი.

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“) - კონკურსში მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი.

კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“) - კონკურსში მონაწილეობდა 2 პრეტენდენტი.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ა“) - კონკურსში მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი.

სამართლის ისტორიის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ა“) - კონკურსში მონაწილეობდა 3 პრეტენდენტი.

სამართლის ისტორიის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“) - კონკურსში მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი.

სისხლის სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“) - კონკურსში მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი.

გადაწყვიტეს:

კერძო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ა“) კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

1. თამარ ზოიძე
2. ნათია ჩიტაშვილი
3. ნატალია მოწონელიძე
4. გიორგი მახარობლიშვილი

გადაწყვიტეს:

კერძო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 (ორ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ბ“) კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

1. თამარ ზამბახიძე
2. თამარ ჩიტოშვილი

გადაწყვიტეს:

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 (ერთ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ა“) კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა:

1. ეკა სირაძე

გადაწყვიტეს:

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 (ერთ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ბ") კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა:

1. მაია ბითაძე

გადაწყვიტეს:

კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 (ორ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ბ") კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა:

1. გიორგი კახიანი
2. გიორგი თევდორაშვილი

გადაწყვიტეს:

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 (ერთ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ა") კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა

1. კობა ყალიჩავა

გადაწყვიტეს:

სამართლის ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 (ორ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ა") კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

1. გოჩა ფერაძე
2. მარიამ ხოფერია

გადაწყვიტეს:

სამართლის ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 (ერთ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ბ") კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა:

1. დავით ბოსტოღანაშვილი

გადაწყვიტეს:

სისხლის სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 (ერთ) აკადემიურ თანამდებობაზე (კატეგორია ,,ბ") კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა:

1. გიორგი თუმანიშვილი

დასაბუთება

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები, რაც არსებით საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების მიღებას:

კერძო სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ა“)

პრეტენდენტი თამარ ზოიძე 2009 წლიდან საქმიანობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ის არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, მათ შორის, მაქს-პლანკის საერთაშორისო და შედარებითი კერძო სამართლის ინსტიტუტთან ჰამბურგში. იგი აქტიურადაა ჩართული საფაკულტეტო ცხოვრებაში, როგორც კვლევითი, ისე სასწავლო მიმართულებით. მისი ინტერესის სფეროა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი და სანივთო სამართალი, არის საგრანტო პროექტების, არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. მას აქვს პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება, აქვს წარმატებები სასწავლო და კვლევით კომპონენტებში.

პრეტენდენტი ნათია ჩიტაშვილი იურიდიულ ფაკულტეტზე საქმიანობს 2007 წლიდან, არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან. იგი არის არაერთი კვლევითი და საგრანტო პროექტის, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე. ქალბატონი ნათია აქტიურადაა ჩართული საფაკულტეტო ცხოვრებაში, როგორც კვლევითი, ისე სასწავლო მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ის არის „სამართლის ჟურნალი“-ს მმართველი რედაქტორი, აგრეთვე ჩართულია იურიდიულ კლინიკაში მედიაციის კუთხით. ნათია ჩიტაშვილის განსაკუთრებული ინტერესის სფეროა მედიაცია და მისი სამეცნიერო შრომებიც მეტწილად მოიცავს მედიაციის კვლევის პროცესს და მის სწავლებას.

პრეტენდენტი ნატალია მოწონელიძე 2009 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აქვს პუბლიკაციები ქართულ და უცხოურ ენებზე, უდასტურდება მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. იგი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, საიდანაც აქვს მოპოვებული არაერთი კვლევითი სტიპენდია. აღსანიშნავია, რომ მისი კვლევის სფეროს უპირატესად წარმოადგენს დაზღვევის სამართალი და სამედიცინო სამართალი. ქალბატონი ნატალია იურიდიულ ფაკულტეტზე სავალდებულო და არჩევითი საგნების გარდა, ასევე, კითხულობს სამედიცინო სამართლის კურსს თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და, შესაბამისი პროცედურების დაცვით, გეგმავს

სამედიცინო სამართლის სალექციო კურსის შეთავაზებას იურიდიულ ფაკულტეტზე, რაც თანხვედრაშია სამედიცინო სამართლის განვითარების საფაკულტეტო ხედვასთან.

პრეტენდენტი გიორგი მახარობლიშვილი 2012 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო 2009 წლიდან იკავებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ პოზიციას. იგი აქტიურად არის ჩართული ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი ქართულ და უცხოურ ენებზე, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. ბატონი გიორგი თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის საკითხების კვლევა. აღსანიშნავია, რომ გიორგი მახარობლიშვილს დაგეგმილი აქვს კაპიტალის სამართლის ბაზრის განვითარებისა და შედარებითი საკორპორაციო სამართლის კვლევა სხვადასხვა სისტემათა შედარების კუთხით.

კერძო სამართლის მიმართულება (კატეგორია „ბ“) - ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა

პრეტენდენტი თამარ ზამბახიძე 1998 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ღრმა თეორიულ ცოდნასთან ერთად, აღსანიშნავია მისი მრავალწლიანი სამოსამართლეო საქმიანობის გამოცდილება. იგი აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. მას აქვს უცხოელ კოლეგებთან თანაავტორობით გამოცემული ნაშრომები, მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან. აღსანიშნავია, რომ მისი კვლევის სფეროს უპირატესად წარმოადგენს სამოქალაქო პროცესისა და სამოსამართლო ეთიკის საკითხები. სასწავლო პროცესის ფარგლებში ქალბატონი თამარი ორგანიზებას უწევს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სტუდენტების ჩართვას იმიტირებულ სასამართლო პროცესებში და მიმდინარე სასამართლო პროცესებზე დასწრებას.

პრეტენდენტი გიორგი ამირანაშვილი 2009 წლიდან თანამშრომლობს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართულ და უცხოურ ენებზე, აქტიურად არის ჩართული ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, უდასტურდება მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, განხორციელებული აქვს კვლევითი პროექტი უცხოელ კოლეგებთან ერთად, მიღებული აქვს კვლევითი სტიპენდიები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. გიორგი ამირანაშვილის სამეცნიერო კვლევის სფერო ძალზედ ფართოა კერძო სამართლის მიმართულებით და მოიცავს რამდენიმე ქვემიმართულებას. იგი არის შოთა

რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს მფლობელი.

პრეტენდენტი გიორგი ცერცვაძე 13 წელზე მეტი თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართულ და უცხოურ ენებზე, მიღებული აქვს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან. მას უცხოელ კოლეგებთან ერთად განხორციელებული აქვს სხვადასხვა კვლევითი პროექტი, მიღებული აქვს კვლევითი სტიპენდიები. გიორგი ცერცვაძის პრაქტიკული გამოცდილება დაკავშირებულია საადვოკატო საქმიანობასთან. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს უპირატესად წარმოადგენს მედიაციისა და არბიტრაჟის საკითხების კვლევა.

პრეტენდენტი მიხეილ ბიჭია 2010 წლიდან მოწვეული ლექტორის სტატუსით თანამშრომლობს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან. მისი პედაგოგიური საქმიანობა, თსუ-ს გარდა, უკავშირდება სხვა ქართულ უნივერსიტეტებსაც, სადაც იგი იკავებს აკადემიურ თანამდებობას. იგი არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, აგრეთვე ეწევა საადვოკატო საქმიანობას. მიხეილ ბიჭია არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, უდასტურდება მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მისი სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს კერძო სამართლის სხვადასხვა მიმართულებას.

პრეტენდენტი თამარ ჩიტოშვილის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ იგი რამდენიმე ათეული წელია ასწავლის თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე, აგრეთვე, კერძოს სამართლის მიმართულებით ასწავლის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიულ ფაკულტეტებზე. მას რამდენჯერმე აქვს მოპოვებული მაქს-პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო სტიპენდია, როგორც მკლევარ-მეცნიერს. იგი გახლავთ არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. თამარ ჩიტოშვილის კვლევით სფეროს უპირატესად წარმოადგენს სანივთო და სახელშეკრულებო სამართლის პრობლემური საკითხები.

პრეტენდენტი ირაკლი ყანდაშვილი 2007 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და აქტიურად თანამშრომლობს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან, უძღვება სალექციო კურსს - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართულ და უცხოურ ენებზე. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. იგი არის ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის თავმჯდომარე, არაერთი საგრანტო პროექტის მონაწილე. ირაკლი ყანდაშვილის

პრაქტიკული საქმიანობა და სამეცნიერო კვლევის სფერო უკავშირდება კერძო სამართლის მიმართულებას და უპირატესად მოიცავს მედიაციის საკითხების კვლევას.

ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე წარმოდგენილი ექვსივე პრეტენდენტი, ამჟამინდელი მიღწევებისა და აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით, ავლენს სათანადო ცოდნასა და კვლევით უნარებს, თუმცა ორ მათგანს - თამარ ზამბახიძესა და თამარ ჩიტოშვილს უდასტურდებათ გარკვეული უპირატესობები პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებისას. კერძოდ, თამარ ზამბახიძესთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სწავლების ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟით, მდიდარი პრაქტიკული, განსაკუთრებით სამოსამართლეო გამოცდილებით და, ამდენად, მისი განზოგადებისა და სწავლებაში ჩართვის უკეთესი შესაძლებლობით. ამ მიმართულებით პრეტენდენტის უპირატესობა თანხვედრაშია პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერების საფაკულტეტო ხედვასთან. აღსანიშნავია, რომ თამარ ზამბახიძე ფაკულტეტს სთავაზობს სავალდებულო სალექციო სასწავლო კურსებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე, მათ შორის, სახელშეკრულებო სამართალს, სამოქალაქო სამართლის პროცესს, საბანკო და საკორპორაციო სამართალს, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე საგანს - სამოსამართლო სამართალი და სამოსამართლო ეთიკა.

პრეტენდენტ თამარ ჩიტოშვილის უპირატესობა გამოიხატება მის მრავალწლიან (34 წელი) პედაგოგიურ გამოცდილებაში. აღსანიშნავია მისი მონაწილება სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში, ასევე, უცხოურ საგანმანათლებლო/კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა და უახლესი პუბლიკაციები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრეტენდენტი ფაკულტეტს სთავაზობს სალექციო კურსების მრავალფეროვან ჩამონათვალს, მათ შორის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე სავალდებულო დისციპლინებს, მათ შორისაა: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, შედარებითი სანივთო სამართალი და შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი. პრეტენდენტი თამარ ჩიტოშვილი, მისი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით, ავლენს კვლევა-სწავლების პროცესში ინტეგრაციის უკეთეს უნარს. გარდა ამისა, გამორჩეულია თამარ ჩიტოშვილის ჩართულობა საფაკულტეტო ექსტრაკურიკულურ აქტივობებში.

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1(ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ა“)

პრეტენდენტი ეკა სირაძე 2000 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, უძღვება სალექციო კურსებს საერთაშორისო საზღვაო, სანაოსნო სამართალსა და საკონსულო სამართალში. ეკა სირაძე არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართულ და უცხოურ ენებზე,

მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, სხვადასხვა დროს მოპოვებული აქვს კვლევითი სტიპენდიები, არის არაერთი საგრანტო პროექტის მონაწილე, როგორც ექსპერტი და მკვლევარი. ეკა სირაძის სამეცნიერო კვლევის ინტერესს მიეკუთვნება საერთაშორისო საზღვაო და სანაოსნო სამართლის საკითხები.

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“)

პრეტენდენტი მაია ბითაძე 2005 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თავდაპირველად უძღვებოდა სასემინარო ჯგუფებს საერთაშორისო საჯარო სამართალში, ხოლო 2007 წლიდან - სალექციო კურსს საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალში, რომელიც მის მიერ არის შექმნილი. აღსანიშნავია, მისი როგორც აკადემიურ, ისე საჯარო, თუ კერძო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც უპირატესად უკავშირდება გარემოსდაცვით სამართალს. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართულ და უცხოურ ენებზე, მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. იგი არის სხვადასხვა საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტის მონაწილე, აგრეთვე, არაერთი საკანონმდებლო ინიციატივისა და კანონპროექტის ავტორი/თანაავტორი.

კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“)

პრეტენდენტი გიორგი თევდორაშვილი 2003 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი უძღვება სალექციო კურსებს: საკონსტიტუციო სამართალი, საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება, აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ გიორგი თევდორაშვილს აქვს მდიდარი პრაქტიკული სამოსამართლეო გამოცდილება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, რასაც აქტიურად იყენებს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში. კერძოდ, აღსანიშნავია მისი ჩართულობა საკონსტიტუციო კონტროლის კლინიკის წარმართვაში, სადაც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოიმუშავონ საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. გიორგი თევდორაშვილი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. პრეტენდენტის სამომავლო სამეცნიერო კვლევის ინტერესში შედის უპირატესად საკონსტიტუციო კონტროლისა და სამართალწარმოების აქტუალური საკითხები.

პრეტენდენტი გიორგი კახიანი 2007 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი უძღვება სალექციო კურსებს: შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი, იმიტირებული პროცესი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში და საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება. გიორგი კახიანი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის, სახელმძღვანელოს) ავტორი. პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად, აღსანიშნავია მისი მრავალწლიანი პრაქტიკული საქმიანობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოში (საკანონმდებლო, სასამართლო). მისი კვლევის არეალი მოიცავს კონსტიტუციური სამართლის სხვადასხვა მიმართულებებს: საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირების თეორიული საკითხები.

სისხლის სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1(ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ბ“)

პრეტენდენტი გიორგი თუმანიშვილი 2008 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. მან სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მოიპოვა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში. ის უძღვება სალექციო კურსებს სისხლის სამართლის პროცესში (საბაკალავრო საფეხურზე) და შედარებით სისხლის სამართლის პროცესში (სამაგისტრო საფეხურზე), არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. გიორგი თუმანიშვილი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, არის მრავალი კვლევითი და საგრანტო პროექტის მონაწილე, მიღებული აქვს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მას სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. აღსანიშნავია მისი აქტიური ჩართულობა ქართული სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციასა და ინტერნაციონალიზაციაში.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა (კატეგორია „ა“)

პრეტენდენტი კობა ყალიჩავა 2010 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე. იგი უძღვება სალექციო კურსებს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში, გარემოს დაცვის სამართალსა და სამშენებლო სამართალში, აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან. კობა ყალიჩავა არის სხვადასხვა კვლევითი და საგრანტო პროექტის მონაწილე, მიღებული აქვს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენციებში. თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე მისი რედაქტორობით გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი ,,საჯარო სამართლის ჟურნალი".

სამართლის ისტორიის მიმართულება (კატეგორია „ა") - ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) აკადემიური თანამდებობა

პრეტენდენტი გოჩა ფერაძე 2002 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი უძღვება სალექციო კურსს ქართული სამართლის ისტორიასა და ქართულ სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში. იგი აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართული სამართლის და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებზე, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. მას აქვს მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება საქართველოს პროკურატურის სისტემაში, რომლის ისტორიის საკითხებსაც აქტიურად იკვლევს. გოჩა ფერაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მისი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით 2010 წლიდან დღემდე გამოცემულია ხუთი კრებული, რომელიც ეძღვნება გასულ საუკუნეში მოღვაწე ქართული სამართლის ისტორიის მკვლევრების შრომისა და შემოქმედების წარმოჩენას.

პრეტენდენტი მარინა გარიშვილი 2000 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი უძღვება სალექციო კურსებს: რომის სამართლის საფუძვლები, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, აგრეთვე თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სალექციო კურსს - რუსული სამართლის ისტორია, რუსული სამართლებრივი აზრის ისტორია და თანამედროვე რუსეთის კონსტიტუციური სამართალი. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. მარინა გარიშვილი თანამშრომლობს პოლონეთის ქალაქ სლუბსკის პომორიის უნივერსიტეტის სამართლის და ადმინისტრაციის ფაკულტეტთან, არის არაერთი კვლევითი და საგრანტო პროექტის მონაწილე, მიღებული აქვს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მისი კვლევის სფეროს უპირატესად მიეკუთვნება რომის სამართლისა, ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები.

პრეტენდენტი მარიამ ხოფერია 2002 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი კვლევის სფეროა რომაული სამართალი და მისი კავშირი თანამედროვე ქართულ სამართალთან, ლათინურიდან აქვს ნათარგმნი რომაული სამართლის წყაროები, აგრეთვე, ადარებს რომაული სამართლის წყაროების ტექსტებს ერთმანეთს სხვადასხვა უცხოურ (ინგლისურ, ფრანგულ, ლათინურ) ენაზე. აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტი მარიამ ხოფერია მიწვეულია პოლონეთში ქალაქ სლუბსკის პომერანიის უნივერსიტეტში, სადაც კითხულობს ლექციებს რომაულ სამართალში პოლონურ ენაზე. იგი აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ფაკულტეტზე,

არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. მარიამ ხოფერია არის კვლევითი და საგრანტო პროექტების მონაწილე, მიღებული აქვს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე წარმოდგენილი სამივე პრეტენდენტი, ამჟამინდელი მიღწევებისა და აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით, ავლენს სათანადო ცოდნასა და კვლევით უნარებს, თუმცა ორ მათგანს უდასტურდება გარკვეული უპირატესობა. კერძოდ, პრეტენდენტ მარიამ ხოფერიას უპირატესობა გამოიხატება რომის სამართლის წყაროების ორიგინალიდან (ლათინურიდან) თარგმნის გამოცდილებაში, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობასა და, განსაკუთრებით, უცხოეთში სწავლების (სალექციო და სასემინარო) გამოცდილებაში. სამართლის ისტორიის საკითხებს ის იკვლევს პოზიტიურ სამართალთან შედარების ჭრილში, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კომისიისთვის. პრეტენდენტის კომპეტენციები და ევროპული ენების ცოდნა, საშუალებას აძლევს მას ჰქონდეს ინტერნაციონალიზაციის მაღალი მაჩვენებელი და კვლევით და სასწავლო საქმიანობაში მისი ინტეგრაციის უპირატესი შესაძლებლობა.

პრეტენდენტ გოჩა ფერაძესთან მიმართებით მისი უპირატესობა კომისიისთვის გამოიხატა მის ხანგრძლივ სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობაში, ქართული სამართლის ისტორიისა და სამართლის ფილოსოფიის საკითხების კვლევასა და, სხვა დისციპლინებთან ერთად, ქართული სამართლებრივი აზრის ისტორიის საფაკულტეტო არჩევით საგნად შეთავაზების შესაძლებლობაში. პრეტენდენტი გოჩა ფერაძე, ასევე, ავლენს პრაქტიკული გამოცდილების, თეორიული განზოგადებისა და კვლევა-სწავლების პროცესში ინტეგრაციის უკეთეს უნარს. გარდა ამისა, გამორჩეულია გოჩა ფერაძის ჩართულობა საუნივერსიტეტო პროცესებსა და ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებში.

სამართლის ისტორიის მიმართულება (კატეგორია „ბ“) - ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) აკადემიური თანამდებობა

პრეტენდენტი დავით ბოსტოღანაშვილი 1996 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი უძღვება სალექციო კურსებს ქართული სამართლის ისტორიაში, რომის სამართლის საფუძვლებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორიაში. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს უპირატესად წარმოადგენს ძველი ქართული სამართალი და ქართული ჩვეულებითი სამართალი, საეკლესიო სამართალი. აღსანიშნავია მისი მრავალწლიანი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება განათლების ექსპერტის რანგში. იგი აქტიურად არის ჩართული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე, არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, არის კვლევითი და საგრანტო პროექტების მონაწილე, უდასტურდება მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

მერაბ ტურავა, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)

თამარ ზარანდია, ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

დავით პატარაია, პროფესორი

ნუგზარ სურგულაძე, პროფესორი

ირმა გელაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ხათუნა ლორია, ასოცირებული პროფესორი

ვასილ გონაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე გიორგიძე, სამართლის დოქტორი, კომისიის მდივანი